

დოკუმენტი დამტკიცებულია
უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2021
წლის 2 ივლისის №4 დადგენილებით,
სხდომის ოქმი №6

*შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“
დოქტორანტურის დებულება*

2021 წელი

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1. დოქტორანტურის დებულება (შემდგომში - დებულება) აწესრიგებს ქუთაისის უნივერსიტეტში (შემდგომში უნივერსიტეტი) მოქმედი სადოქტორო პროგრამის/პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესსა და პროცედურას „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად.

2. დებულებით განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოს ფუნქციები, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის უფლება-მოვალეობები, სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი, სადოქტორო ნაშრომის შეფასების/დაცვის/გასაჩივრების წესი, ასევე სადოქტორო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციული საკითხები.

3. დოქტორანტურის მიზანია უნივერსიტეტში სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტეგრირება და სამეცნიერო კადრების მომზადება.

4. დოქტორანტურის ფარგლებში განხორციელებული კვლევითი პროექტები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას.

5. ფაკულტეტი უფლებამოსილია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართოს სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება/დაწესებულებები გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

6. ფაკულტეტი შესაძლოა ახორციელებდეს საგანმანათლებლო პროგრამებს ადგილობრივი ან საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების გაცვლას, ან ერთობლივი, ორმაგი ან რამდენიმე ხარისხის მინიჭებას.

მუხლი 2. სადისერტაციო საბჭო და მისი უფლებამოსილება

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც შექმნილია ფაკულტეტზე. სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისგან.

2. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირებიც.

3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო 4 წლის ვადით, ხმათა უმრავლესობით (კენჭისყრაში მონაწილეობა უნდა მიიღოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობამ), ფარული კენჭისყრით საინიციატივო ჯგუფის (არანაკლებ სამი წევრი) მიერ ერთი ან რამდენიმე კანდიდატურის წარდგინების საფუძველზე. თავმჯდომარის არჩევამდე პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი.

4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს, თავმჯდომარის მოთხოვნით შეუძლია აირჩიოს თავმჯდომარის მოადგილე. თავმჯდომარის მოადგილის ფუნქციები, უფლებამოსილება და თანამდებობაზე ყოფნის ვადა განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოს მიერ.

5. სადისერტაციო საბჭოს მდივნის კანდიდატურას (საბჭოს შემადგენლობიდან) წარადგენს თავმჯდომარე და ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო საბჭოს მდივანი ინიშნება 4 წლის ვადით.

6. სადისერტაციო საბჭო:

ა) იღებს გადაწყვეტილებას სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დამტკიცების/შეცვლის შესახებ;

ბ) იღებს გადაწყვეტილებას საკვლევი თემების დამტკიცების, შეცვლის/კორექტირების შესახებ;

გ) იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის, დაცვის კომისიის შემადგენლობისა და შიდა და გარე რეცენზენტების დამტკიცების შესახებ;

დ) ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს;

ე) იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სემინარის დაცვის კომისიის შემადგენლობის, დაცვის სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის განსაზღვრის შესახებ;

ვ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევის შესახებ;

ზ) ახორციელებს ამ დებულებითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

7. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა ნახევარზე მეტი.

8. საბჭოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლება-მოვალეობა

1. სადისერტაციო საბჭოს მუშაობას ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში მოადგილე ან სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული პირი. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს სხდომებს იწვევს საჭიროებისამებრ.

2. სადისერტაციო საბჭოს მდივნის დაუსწრებლობის შემთხვევაში თავმჯდომარე უფლებამოსილია მდივნის მოვალეობა დააკისროს საბჭოს ერთ-ერთ წევრს.

3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს სადისერტაციო საბჭოზე განსახილველად გააქვს შემდეგი საკითხები:

ა) სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დამტკიცების და შეცვლის შესახებ;

ბ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის, დაცვის კომისიის შემადგენლობისა და რეცენზენტების დამტკიცების შესახებ;

გ) დოქტორანტისთვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;

დ) დოქტორანტის სემინარის კომისიის შემადგენლობის, სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის განსაზღვრის შესახებ;

ე) უფლებამოსილია განახორციელოს ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება და განსახილველად გაიტანოს სხვა საკითხები რაც უკავშირდება სადისერტაციო საბჭოს ფუნქციების ეფექტურ განხორციელებას.

4. წელიწადში ერთხელ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ფაკულტეტის დეკანს წარუდგენს ანგარიშს გაწეული სამუშაოს და მომავალში ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 4. სადისერტაციო საბჭოს მდივნის უფლება-მოვალეობა

სადისერტაციო საბჭოს მდივნის უფლებამოსილებაა:

- ა) სადისერტაციო საბჭოს სხდომების ორგანიზება;
- ბ) უნივერსიტეტის ვებგვერდზე ინფორმაციის დროული განთავსების უზრუნველყოფა;
- გ) სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, დამატების შესახებ საკითხის მომზადება;
- დ) დოქტორანტის სადისერტაციო თემის დამტკიცების, შეცვლის, დასახელების კორექტირების შესახებ საკითხის მომზადება;
- ე) სემინარების ჩატარების ორგანიზება;
- ვ) სადისერტაციო ნაშრომის წინასწარ დაცვაზე წარდგენის ორგანიზება;
- ზ) ავტორფერატისა და სადისერტაციო ნაშრომის გადაცემის ორგანიზება ქუთაისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის და მათი განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
- თ) დაცვისათვის დისერტანტის საბუთების მონიტორინგი;
- ი) დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

მუხლი 5. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები განისაზღვრება ქუთაისის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტით.

თავი II. სადოქტორო პროგრამაზე მიღება და სწავლა

მუხლი 6. სადოქტორო პროგრამაზე მიღება

1. დოქტორანტურაში ჩარიცხვის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი მოთხოვნები დგინდება კონკრეტული სადოქტორო პროგრამის მიხედვით.

2. დოქტორანტურაში სწავლის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი);
- ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- გ) 2 ფოტოსურათი;
- დ) ავტობიოგრაფია (CV);
- ე) შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე მიღებისთვის დამტკიცებული, აპლიკანტის მიერ შევსებული და მისი პოტენციური ხელმძღვანელის ხელმოწერილი კვლევითი განაცხადი;

ვ) ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 7. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები

1. ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოიცემა რექტორის აქტი, რომლითაც განისაზღვრება სადოქტორო პროგრამაზე განცხადების მიღების, გამოცდის/გამოცდების ჩატარების ვადები და კანდიდატების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა. დოქტორანტურაში მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ საკითხი რეგულირდება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოიცემა რექტორის აქტი დროებითი კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

3. დოკუმენტაციის გადარჩევის შემდეგ კანდიდატს ეძლევა ინგლისური ენის გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, რომელიც ტარდება შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის შესაბამისად. ენის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატი თავისუფლდება ინგლისური ენის გამოცდისგან.

4. ინგლისური ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში კანდიდატი დაიშვება სადოქტორო პროგრამით დადგენილ ზეპირ გამოცდაზე. ზეპირი გამოცდის შეფასება ხდება დროებითი დარგობრივი კომისიის მიერ, წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების, კრიტერიუმების და რუბრიკების შესაბამისად. ზეპირი გამოცდის მოთხოვნები, კრიტერიუმები და რუბრიკები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე ყოველი მიღების გამოცხადებისთანავე.

5. ზეპირი გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, დარგობრივი კომისია მიმართავს რექტორს დოქტორანტურაში პირის ჩარიცხვის რეკომენდაციით.

6. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველი კანდიდატი უფლებამოსილია გაასაჩივროს როგორც ინგლისური ენის, ისე დარგობრივი კომისიის შეფასების შედეგები, რისთვისაც რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია.

7. უნივერსიტეტში დოქტორანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება უნივერსიტეტსა და დოქტორანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე.

8. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულება ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ, დგება რექტორის აქტი, რომელშიც მითითებულია დოქტორანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც დოქტორანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება.

მუხლი 8. მობილობა დოქტორანტურაში

1. უნივერსიტეტში მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/5 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

2. დოქტორანტურაში მობილობით ჩარიცხვის წინაპირობაა მობილობის მსურველის სადოქტორო პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამასთან. სადოქტორო პროგრამაზე კონკურსის არსებობის დროს აგრეთვე მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები.

მუხლი 9. სადოქტორო პროგრამის შინაარსი

1. სადოქტორო პროგრამის შემუშავების პროცედურები რეგულირდება „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურებით“.

2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი.

3. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს; სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სამეცნიერო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

4. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი იყოფა სავალდებულო და არჩევით ელემენტებად. სავალდებულო და არჩევითი ელემენტები განისაზღვრება სადოქტორო პროგრამით.

5. სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მიზანია ჩამოუყალიბოს/განუვითაროს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი უნარები. სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტია სამეცნიერო ნაშრომი, რომლის შესრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით და დაცვით. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სადოქტორო პროგრამით და ამ დებულებით.

მუხლი 10. სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს ქუთაისის უნივერსიტეტის ან სხვა უსდ-ს აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელიც ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს, აქვს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას. სამეცნიერო ხელმძღვანელი ინიშნება ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად, სტუდენტის განცხადების საფუძველზე.

2. საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი, მათ შორის უცხო ქვეყნის აკადემიური დაწესებულებიდან საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში.

3. თანახელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს ხელმძღვანელისთვის განსაზღვრულ ყველა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

4. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი უარს ამბობს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე/თანახელმძღვანელობაზე, მან დასაბუთებული განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტს.

5. სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეცვლის სურვილის შემთხვევაში, დოქტორანტმა წერილობითი დასაბუთებული განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტს.

6. ფაკულტეტის დეკანი განცხადებას განსახილველად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს და შესაბამისი გადაწყვეტილება ეცნობება დოქტორანტს.

7. სამეცნიერო ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები და მოვალეობებია:

ა) რეგულარული კონსულტაციები დოქტორანტურის სტუდენტებთან;

ბ) დოქტორანტის პროგრესის პერიოდული შეფასება;

გ) სამეცნიერო რჩევები კვლევის დიზაინზე;

დ) დახმარება სადისერტაციო ნაშრომის წერის პროცესში;

ე) დახმარება ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესში;

ვ) დახმარება ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში;

ზ) კონსულტაციები და დახმარება სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების შესახებ;

თ) დასკვნა და უკუკავშირი სადისერტაციო ნაშრომის შესახებ.

8. ერთი პირი შეიძლება ხელმძღვანელობდეს აქტიური სტატუსის მქონე მაქსიმუმ სამ დოქტორანტს.

მუხლი 11. სადისერტაციო ნაშრომის გეგმა

სწავლის პირველ წელს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად სადისერტაციო საბჭოს წინაშე განსახილველად წარადგენს სადისერტაციო ნაშრომის დეტალურ გეგმას, რომელიც მოიცავს:

ა) თავფურცელს;

ბ) სარჩევს;

გ) აბრევიატურის ჩამონათვალს;

დ) საკვლევ საკითხს/პრობლემას, თემის აქტუალობას, სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულებების დასაბუთებას;

ე) კვლევის მიზანს, საკვლევ შეკითხვას/შეკითხვებს, საჭიროების შემთხვევაში - ჰიპოთეზას;

ვ) ლიტერატურის მიმოხილვას;

ზ) კვლევის მეთოდოლოგიას და მეთოდებს;

თ) კვლევის შეზღუდვებს;

ი) კვლევის გეგმას;

კ) ბიბლიოგრაფიას.

მუხლი 12. სემინარის შეფასება

1. სემინარის შეფასება ხორციელდება კომისიური წესით. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება სადისერტაციო საბჭოს მიერ.

2. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება სემინარის მიმდინარეობის ჩაწერა. ჩანაწერი (კომპაქტდისკზე) ინახება სტუდენტის პირად საქმეში.
3. სემინარის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით.

თავი III. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა, დაცვა და ხარისხის მინიჭება

მუხლი 13. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პროცედურა

1. დოქტორანტმა სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დადასტურებული და პლაგიატზე შემოწმებული სადისერტაციო ნაშრომი, ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად და ელექტრონული სახით უნდა წარუდგინოს ფაკულტეტს მეხუთე სემესტრის დასრულებამდე. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ სადისერტაციო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების შედეგად პლაგიატის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომი მხოლოდ ერთხელ უბრუნდება დოქტორანტს გადასამუშავებლად.

2. დოქტორანტი განცახდებით მიმართავს დეკანს წინასწარი დაცვის თარიღის დანიშვნის და შიდა რეცენზენტების გამოყოფის შესახებ.

3. სადისერტაციო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

4. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს შემაჯამებელ რეზიუმეს ინგლისურ ენაზე, რომელშიც წარმოდგენილია სადოქტორო ნაშრომის ძირითადი სამეცნიერო შედეგები, დასაბუთებულია მათი სამეცნიერო სიახლე, ღირებულება და აქტუალობა.

5. სადისერტაციო ნაშრომს თან უნდა ახლდეს:

ა) ცნობა დაგროვებული კრედიტების შესახებ;

ბ) ხელმოწერილი განაცხადი, რომლითაც ავტორი ადასტურებს, რომ სადოქტორო ნაშრომი დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის შედეგს წარმოადგენს და არ შეიცავს პლაგიატს (დანართი №1);

გ) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, ასევე თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დასკვნა სადოქტორო ნაშრომის დაცვისთვის მზაობის შესახებ (დანართი №2);

დ) სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების შესახებ;

ე) ინფორმაცია დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ.

6. დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი შესაფასებლად ეგზავნება სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ორ შიდა რეცენზენტს. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. რეცენზენტი უნდა ფლობდეს დოქტორის აკადემიურ ხარისხს და ჰქონდეს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

7. შიდა რეცენზენტები სადისერტაციო ნაშრომის შესწავლის შემდეგ წარმოადგენენ შესაბამის დასკვნას 30 დღის ვადაში. შიდა რეცენზენტის მიერ წარმოსადგენი დასკვნა სავალდებულო წესით უნდა შეიცავდეს შეფასებას ნაშრომის აქტუალობის, სიახლის, საკვლევი პრობლემის, გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების, ანალიზისა და დასკვნების შესახებ.

8. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვა ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. წინასწარი დაცვა ინიშნება შიდა რეცენზენტების მიერ დასკვნის წარმოდგენიდან 2 კვირის ვადაში. სხდომას შეიძლება ესწრებოდნენ შესაბამისი დარგის აკადემიური და

სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, მოწვეული პირები და სხვა დაწესებულების სპეციალისტები. სხდომის მუშაობას უნდა ესწრებოდეს დოქტორანტის ხელმძღვანელი;

9. დოქტორანტი სხდომას მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობას, მეცნიერულ სიახლეს, პრაქტიკულ ღირებულებას, წარმოაჩენს სადისერტაციო ნაშრომში დასმულ პრობლემას და მისი გადაწყვეტის გზებს. დოქტორანტი პასუხობს შიდა რეცენზენტების შენიშვნებს და რეკომენდაციებს, სხდომის მონაწილეთა მიერ დასმულ შეკითხვებს. წინასწარი დაცვის დროს დოქტორანტმა შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერი ტიპის აუდიო/ვიზუალური მასალა; წინასწარი დაცვის შედეგები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს დეკანი და ფაკულტეტის საბჭოს წევრები.

10. წინასწარი დაცვის მიმდინარეობა ჩაიწერება ელექტრონულად, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 14. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა სადისერტაციო საბჭოში

1. შიდა რეცენზენტების რეკომენდაციების და სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვის შედეგების გათვალისწინებით დოქტორანტი უზრუნველყოფს ნაშრომის გადამუშავებას. დასრულებული ნაშრომი გადაეცემა ფაკულტეტს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების მიზნით. ნაშრომში პლაგიატის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, ნაშრომი ერთჯერადად გადასამუშავებლად უბრუნდება დოქტორანტს. სადისერტაციო ნაშრომის გადამუშავების შემდეგ პლაგიატის ნიშნების განმეორებით აღმოჩენის შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე ნაშრომზე მუშაობის გაგრძელების უფლებას.

2. დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი გადაეცემა საბჭოს განსახილველად დამამთავრებელი სემესტრის ამოწურვამდე 45 დღით ადრე.

3. დოქტორანტმა სადისერტაციო საბჭოს მდივანს უნდა წარუდგინოს:

ა) განცხადება საბჭოს თავმჯდომარის სახელზე სადისერტაციო ნაშრომის განსახილველად მიღების შესახებ;

ბ) ქართულ ენაზე შესრულებული სადისერტაციო ნაშრომის 4 აკინძული ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში);

გ) სადოქტორო პროგრამის სწავლების ენაზე შესრულებული ავტორეფერატის 15 ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში). ავტორეფერატის გაფორმების წესს არეგულირებს ამ დებულების დანართი №5;

დ) ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) დასკვნა შემდგომი მსვლელობის შესახებ;

ე) სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების შესახებ;

ვ) სადისერტაციო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული მინიმუმ 2 ნაშრომი. სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, კონგრესების, სიმპოზიუმების მასალები (მინიმუმ ერთი მოხსენება). ამასთან, დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკვლევი თემის ფარგლებში გამოქვეყნებული აქვს სტატია ან მიღებულია დასაბეჭდად იმპაქტ-ფაქტორის peer reviewed ჟურნალში, ან/და რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ ან ბეჭდვით ჟურნალში, ან/და საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში. აღნიშნულს უტოლდება

სადისერტაციო თემის სრული ან შემოკლებული ვერსიის (30-60 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირება.

ზ) ბიოგრაფიული ცნობები (CV).

4. დეკანატი ვალდებულია სადისერტაციო საბჭოს მდივნის მოთხოვნის საფუძველზე გადასცეს მას ინფორმაცია დოქტორანტის სასწავლო კომპონენტების შესრულების შესახებ (სასწავლო ბარათი); სემინარების და წინასწარი დაცვის აუდიო/ვიდეო ჩანაწერები, შესაბამისი ოქმების და ყველა კომპონენტის ელექტრონული უწყისების ასლები.

მუხლი 15. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღისა და გარე რეცენზენტების დანიშვნა

1. სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს მდივანი ერთი კვირის ვადაში ამოწმებს დოკუმენტაციას, ავტორეფერატის და სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების შესაბამისობას მოთხოვნებთან და ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში გადასცემს საბჭოს განსახილველად.

2. თავმჯდომარის წარდგინებით, სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე მიიღება გადაწყვეტილება დოქტორანტის დაცვაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ. დოქტორანტის დაცვაზე არდაშვების შემთხვევაში, სადისერტაციო ნაშრომი და მასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია შეინახება საბჭოს არქივში. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტაციას.

3. დოქტორანტის დაცვაზე დაშვების უარის საფუძველი შეიძლება იყოს დოკუმენტების არასრულყოფილად წარმოდგენა.

4. საბჭო უფლებამოსილია მოიწვიოს დოქტორანტი სხდომაზე საჭირო განმარტების მიცემის მიზნით, ასევე, მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტები. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ინიშნება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღი და მტკიცდება ორი გარე რეცენზენტი, აგრეთვე დაცვის კომისიის შემადგენლობა (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურა). კომისიის თავმჯდომარე უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.

5. დაცვის კომისია იქმნება ერთჯერადად, მხოლოდ კონკრეტული სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის. იგი უნდა შედგებოდეს სადოქტორო პროგრამის შესაბამისი სფეროს 5-7 წარმომადგენლისაგან. დაცვის კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი.

6. გარე რეცენზენტი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი რომელსაც დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის დარგში გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები, რომელთა შესაბამისობას ადგენს საბჭო. გარე რეცენზენტის რაოდენობა არ უნდა იყოს 2 ზე ნაკლები. რეცენზენტებსა და დოქტორანტს/ხელმძღვანელებს შორის არ უნდა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი, (მაგ. მიმდინარე პროექტებში თანამშრომლობა და სხვა). დაუშვებელია, რომ ორივე რეცენზენტი იყოს რომელიმე ორგანიზაციის ერთი და იმავე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი.

7. სადისერტაციო საბჭოს მდივანი უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს:

ა) სადისერტაციო ნაშრომის და ავტორეფერატის თითო ეგზემპლარის და მათი ელექტრონული ვერსიების გადაცემას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის;

ბ) სადისერტაციო ნაშრომის და ავტორეფერატის ელექტრონული ვერსიების განთავსებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

გ) სადისერტაციო ნაშრომის და ავტორეფერატის ეგზემპლარების გადაცემას რეცენზენტებისათვის;

დ) ავტორეფერატის თითო ეგზემპლარის გადაცემას დაცვის კომისიის წევრებისათვის.

8. სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე 2 კვირით ადრე გარე რეცენზენტმა წერილობითი დასკვნა ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინოს საბჭოში და დააბრუნოს სადისერტაციო ნაშრომის ეგზემპლარი; რეცენზენტების დასკვნების თითო ეგზემპლარი გადაეცემა დოქტორანტს.

9. გარე რეცენზენტის მიერ წარმოსადგენი დასკვნა სავალდებულო წესით უნდა შეიცავდეს შეფასებას ნაშრომის აქტუალობის, სიახლის, საკვლევი პრობლემის, გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების, ანალიზისა და დასკვნების შესახებ. დასკვნაში აღნიშნული უნდა იყოს ოფიციალური რეცენზენტის აზრი – აკმაყოფილებს თუ არა სადოქტორო ნაშრომი წაყენებულ მოთხოვნებს, იმსახურებს თუ არა დოქტორანტი დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

10. თუ რომელიმე რეცენზენტის მიერ დასკვნის წარმოდგენა შეუძლებელია ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.), სათანადო ცნობის ან მოხსენებითი ბარათის წარმოდგენის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარე უახლოეს ვადაში იწვევს საბჭოს სხდომას, მტკიცდება სხვა რეცენზენტი და განიხილება დაცვის თარიღის ცვლილების აუცილებლობა.

11. საბჭოს მდივანმა დოქტორანტს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

12. სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე ერთი კვირით ადრე საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: საგანმანათლებლო პროგრამისა და სადისერტაციო თემის დასახელება, დოქტორანტის სახელი, გვარი, დაცვის კომისიის შემადგენლობა (თავმჯდომარის, სამეცნიერო ხელმძღვანელის / თანახელმძღვანელების, ოფიციალური რეცენზენტების და მოწვეული წევრების მითითებით), დაცვის თარიღი, დრო და ადგილი. აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს მდივანი.

13. დოქტორანტს უფლება აქვს ორივე ოფიციალური რეცენზენტების უარყოფითი დასკვნის შემთხვევაშიც მოითხოვოს დაცვის ჩატარება. ასევე, მას უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით მოხსნას განხილვიდან თავისი ნაშრომი დაცვამდე ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 16. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა (შემდგომში დაცვა) ტარდება საჯაროდ.

2. დაცვას საპატიო მიზეზით შეიძლება არ ესწრებოდეს ერთ-ერთი გარე რეცენზენტი, რომელსაც წარმოდგენილი აქვს დადებითი დასკვნა. ამ შემთხვევაში დასკვნა მთლიანად უნდა იქნეს წაკითხული დაცვის მსვლელობისას. თუ დაცვას არ ესწრება არცერთი რეცენზენტი, დაცვა გადაიდება.

3. თუ დოქტორანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე, საბჭოს კვორუმი არ შედგა, ან დაცვა არ შედგა დოქტორანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზის გამო, საბჭოს მიერ დაცვა დაინიშნება უახლოეს მისაღებ დროს.

4. დაცვის კომისიის სხდომას ხსნის თავმჯდომარე. იგი ადასტურებს კვორუმის არსებობას და დამსწრეთ აცნობს სხდომის დღის წესრიგს.

5. სხდომის მდივანი აცნობს დამსწრე საზოგადოებას დოქტორანტის ვინაობას, მის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს, დისერტანტის მიერ გავლილი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების და წინასწარი დაცვის შედეგებს, სადისერტაციო ნაშრომის

თემასა და გარე რეცენზენტების ვინაობას, დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურას.

6. დოქტორანტისა და გარე რეცენზენტების მოხსენებების, აგრეთვე, კომისიის წევრებისა და სხვათა გამოსვლების მაქსიმალურ ხანგრძლივობას განსაზღვრავს კომისია თავმჯდომარის წინადადებით.

7. დოქტორანტი, რეგლამენტით გათვალისწინებულ დროში, მკაფიოდ აყალიბებს მეცნიერულ სიახლეს, ნაშრომის ძირითად დებულებებს, მიღებულ კვლევის შედეგებს და დასკვნებს.

8. დოქტორანტი პასუხობს კომისიის, სადისერტაციო საბჭოს წევრებისა და რეცენზენტების მიერ დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც თავმჯდომარე კომისიას გააცნობს სადისერტაციო ნაშრომზე გამოხმაურებებს (მათი არსებობის შემთხვევაში). ყველა კრიტიკული შენიშვნა მთლიანად უნდა იქნეს წაკითხული. დოქტორანტი ვალდებულია პასუხი გასცეს ყველა შენიშვნას. იმართება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც კომისიის/სადისერტაციო საბჭოს წევრებს, ისე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებს.

9. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მსვლელობა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ფიქსირდება აუდიო/ვიდეო ტექნიკური საშუალებებით. ჩანაწერი კომპაქტ დისკზე ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

10. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება მიმდინარეობს შემდეგი სისტემით:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (*bene*) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

12. საბოლოო შეფასებას წერენ დაცვის კომისიის წევრები დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

13. თუ დისერტანტმა მიიღო უარყოფითი შეფასება - „არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო“, მან გადამუშავებული ნაშრომი უნდა წარადგინოს ერთი კალენდარული წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი არ წარმოადგენს გადამუშავებულ ნაშრომს, მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი. ხოლო, თუ დისერტანტმა მიიღო შეფასება - „სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

14. სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ დაცვის კომისიის მიერ წარდგენილი ოქმის საფუძველზე.

თავი IV. დოქტორანტის სტატუსი და დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევა

მუხლი 17. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა/შეჩერება/აღდგენა

1. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა ან შეჩერება ხდება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად.
2. დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან 6 აქტიური სემესტრის განმავლობაში დოქტორანტის მიერ სასწავლო და კვლევითი პროცესის დაუსრულებლობის შემთხვევაში, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი მიმართავს სადისერტაციო საბჭოს სწავლის/კვლევის პროცესის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ დასაბუთებული შუამდგომლობით.
3. სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობაზე სადისერტაციო საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია დაასრულოს დოქტორანტურაში სწავლა სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 4 სემესტრისა.
4. სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, დოქტორანტის საკვლევი თემის აქტუალობის და შესაძლო მოდიფიცირების საკითხს განიხილავს სადისერტაციო საბჭო დოქტორანტის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 18. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

1. დადგენილი წესის შესაბამისად სადისერტაციო საბჭოს წინაშე შეიძლება დაისვას დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობის საკითხი აკადემიური და კვლევის ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში.
2. აკადემიური ხარისხი ბათილად იქნება ცნობილი, თუ დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომში დადგინდა პლაგიატი.

თავი V. სადისერტაციო ნაშრომის გაფორმება

მუხლი 19. სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების წესი

სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების წესს არეგულირებს ამ დებულების დანართი №3.

მუხლი 20. კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობის და ანონიმურობის პრინციპის დაცვა

1. სადისერტაციო ნაშრომის ავტორი პასუხისმგებელია დაიცვას ანონიმურობისა და კონფიდენციალობის პრინციპი კვლევის ფარგლებში რესპონდენტისგან მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.
2. კვლევის ფარგლებში რესპონდენტისგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობისა და ანონიმურობის პრინციპის დაცვის მიზნით სადისერტაციო

ნაშრომის ავტორი უზრუნველყოფს ინფორმირებული თანხმობის წერილის მომზადებას (დანართი №7);

3. ინფორმირებული თანხმობის წერილი აღწერს საკვლევ პრობლემასა და კვლევის მიზანს და განსაზღვრავს სადისერტაციო ნაშრომის ავტორის პასუხისმგებლობას კვლევის მონაწილე რესპონდენტისგან მიღებული ინფორმაციის ანონიმურობისა და კონფიდენციალობის დაცვასთან დაკავშირებით და ასევე, ადასტურებს კვლევის მონაწილე რესპონდენტის თანხმობას მის მიერ გაცემული ინფორმაციის კვლევის მიზნებისთვის გამოყენებასთან დაკავშირებით.

4. სადისერტაციო ნაშრომის ავტორი კონკრეტული კვლევის ფარგლებში რესპონდენტისგან მიღებული ინფორმაციის მხოლოდ რესპონდენტისთვის წარდგენილი კვლევის მიზნებისთვის გამოყენებას, ანონიმურობისა და კონფიდენციალობის პრინციპის დაცვას ადასტურებს ინფორმირებულ თანხმობაზე ხელის მოწერით.

5. რესპონდენტი კონკრეტული კვლევის ფარგლებში გაცემული ინფორმაციის ამავე კვლევის მიზნებისთვის გამოყენებაზე თანხმობას ადასტურებს ინფორმირებულ თანხმობაზე ხელის მოწერით.

მუხლი 21. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები

1. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს განსაზღვრავს ამ დებულების დანართი №8.

2. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება გამოითვლება დაცვის კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულის გამოთვლით.

მუხლი 22. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლის შემდეგ, ძალადაკარგულად ჩაითვალოს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და სადისერტაციო კომისიის საქმიანობის დროებითი წესი.
2. ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს სამართლებრივი აქტით.

ინფორმირება აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევაზე

მე _____ პ/ნ _____

გავეცანი უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმებს და ვაცნობიერებ, რომ ჩემს მიერ, მათი გაუთვალისწინებლობა შესაძლოა გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

აღნიშნულს ვადასტურებ ხელმოწერით.

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

სამეცნიერო ხელმძღვანელის / თანახელმძღვანელის დასკვნა

| № | შეფასების კომპონენტები | შეფასების კრიტერიუმები | შეფასება |
|----|---|--|---|
| 1. | ნაშრომის სტრუქტურული გამართულობა | <ul style="list-style-type: none"> ნაშრომის სტრუქტურის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა ნაშრომის კომპონენტების (შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა ძირითადი ნაწილი, დასკვნა) შინაარსობრივ მოთხოვნებთან შესაბამისობა | <input type="checkbox"/> კარგი <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> ცუდი |
| 2. | ნაშრომის აქტუალურობა და მნიშვნელობა | <ul style="list-style-type: none"> საკვლევი საკითხის სიახლე და აქტუალურობა ნაშრომის სამეცნიერო ღირებულება ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება | <input type="checkbox"/> კარგი <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> ცუდი |
| 3. | საკვლევი საკითხის დასმა და წარმოჩენა | <ul style="list-style-type: none"> კვლევის მიზნების და ამოცანების ფორმულირება და წარმოჩენა საკვლევი საკითხის დასმა და პრობლემის ირგვლივ მსჯელობა საკვლევი შეკითხვების და/ან კვლევის ჰიპოთეზის ფორმულირება | <input type="checkbox"/> კარგი <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> ცუდი |
| 4. | დასახული მიზნებისა და კვლევის შედეგების ურთიერთშესაბამისობა | <ul style="list-style-type: none"> კვლევის მიზნების კვლევის შედეგებთან შესაბამისობა | <input type="checkbox"/> კარგი <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> ცუდი |
| 5. | კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები | <ul style="list-style-type: none"> გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიის და მეთოდების რელევანტურობა | <input type="checkbox"/> კარგი <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> ცუდი |
| 6. | შედეგების /მიგნებების ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები | <ul style="list-style-type: none"> ანალიზის სიღრმე საკვლევი პრობლემის გადაწყვეტის ირგვლივ მსჯელობა და არგუმენტირებული დასკვნები დასკვნებისა და რეკომენდაციების რელევანტურობა | <input type="checkbox"/> კარგი <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> ცუდი |
| 7. | ნაშრომის ტექნიკური მხარე | <ul style="list-style-type: none"> ნაშრომის ტექნიკური და გრამატიკული გამართულობა ციტირება-რეფერირების ტექნიკის დაცვა (APA სტილი) | <input type="checkbox"/> კარგი <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> ცუდი |
| 8. | გამოყენებული წყაროები/ლიტერატურა | <ul style="list-style-type: none"> საკვლევი თემის ფარგლებში შერჩეულია მრავალფეროვანი და ვალიდური ლიტერატურა. | <input type="checkbox"/> კარგი <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> ცუდი |

შესრულებული სამუშაოს ვერბალური შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაო დამატებითი კომენტარების არსებობის შემთხვევაში.

- სადისერტაციო ნაშრომი გადაეცეს რეცენზენტს შესაფასებლად
- სადისერტაციო ნაშრომი დაუბრუნდეს დოქტორანტს გადასამუშავებლად

სადისერტაციო ნაშრომის გაფორმება

1. სადისერტაციო ნაშრომის აუცილებელი კომპონენტებია:

ა) სატიტულო ფურცელი;

ბ) რეზიუმე;

გ) სარჩევი;

დ) ცხრილების და ნახაზების ჩამონათვალი;

ე) შესავალი, რომელშიც მოცემული იქნება კვლევის საგანი, საკვლევი პრობლემა, საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზანი, საკვლევი შეკითხვები, ჰიპოთეზა/ჰიპოთეზები (არსებობის შემთხვევაში), გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები, ნაშრომის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება, ნაშრომის სტრუქტურის აღწერა;

ვ) ლიტერატურის მიმოხილვა, სადაც გაანალიზებულია კვლევის საგანთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურა, რის საფუძვლზეც შესწავლილი და გაანალიზებულია კვლევის საგანთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა და გამოკვეთილია საკვლევი პრობლემა და საკვლევი შეკითხვები;

ზ) ძირითადი ნაწილი, რომელშიც აღწერილია განხორციელებული კვლევა, კვლევის შედეგები და ანალიზი. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად და ქვეთავებად;

თ) დასკვნა, რომელშიც პასუხი გაეცემა შესავალში დასახულ საკვლევ შეკითხვებს, კვლევის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე ჩამოყალიბდება დასკვნები და რეკომენდაციები;

ი) დანართები;

კ) გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

2. სატიტულო ფურცელი წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის პირველ გვერდს და იგი უნდა მომზადდეს ამ დებულების დანართი №4-ის შესაბამისად.

3. სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმება:

ა) სადისერტაციო ნაშრომის ტექსტი წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე. შრიფტი: Sylfaen; შრიფტის ზომა: 12; სტრიქონებს შორის მანძილი: 1,5 ინტერვალი; ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხენა - 3 სმ, მარჯვენა-1 სმ, ზემოთ- 2,5 სმ, ქვემოთ - 2,5 სმ; ნაშრომის მოცულობა-არანაკლებ 120 და არაუმეტეს 170 გვერდისა. ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით, ქვედა მარჯვენა კუთხეში. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. გვერდის ნომრების შრიფტის ზომა არის 10. გვერდის ნომერი ფურცლის ქვედა კიდიდან დაშორებული უნდა იყოს 1.3 სმ-ით;

ბ) ცხრილები, ნახაზები: ცხრილები, ნახაზები, დიაგრამები, ჰისტოგრამები და ა.შ. კეთდება ნაშრომის ძირითად ნაწილში. ცხრილის (ნახაზის) ზემოთ იწერება სათაური, ხოლო სათაურს ზემოთ, უკიდურეს მარჯვენა მხარეს, „ცხრილი/ნახაზი“ და ნომერი. ცხრილებსა და ნახაზებს უკეთდება დამოუკიდებელი ნუმერაცია, სადისერტაციო ნაშრომის თავების მიხედვით. მაგ., მეორე თავის მესამე ცხრილი იქნება „ცხრილი 2.3.“, მესამე თავის პირველი ნახაზი იქნება „ნახაზი 3.1.“;

გ) ლიტერატურის მიმოხილვაში გამოყენებულ უნდა იქნეს თანამედროვე მასალა. აუცილებელია გამოყენებული წყაროების მითითება. წყაროების მითითების მიზნით ციტირებისა და რეფერირებისთვის გამოიყენება APA სტილი.

4. გამოყენებული ლიტერატურის სიაში (ბიბლიოგრაფიაში) უნდა აისახოს დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული სამეცნიერო



ქუთაისის
უნივერსიტეტი

ლიტერატურისა თუ წყაროების ნუსხა. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს ნაშრომის ბოლოს. ნაშრომში ნახსენები და გამოყენებული ყველა წყარო მითითებული უნდა იყოს ბიბლიოგრაფიაში. ბიბლიოგრაფია უნდა განთავსდეს ახალ გვერდზე. ლიტერატურის ნუსხის მითითებისას გამოყენებული უნდა იქნეს APA სტილი. გამოყენებული ლიტერატურის სიაში ლინკის მითითებისას სავალდებულო წესით უნდა მიეთითოს ვებ-გვერდის მისამართზე შესვლის დრო (გადამოწმებულია: რიცხვი, თვე, წელი).

ქუთაისის უნივერსიტეტი

_____ ფაკულტეტი

სტუდენტის სახელი და გვარი

სადისერტაციო ნაშრომის სათაური

_____ დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

სადისერტაციო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____

ავტორეფერატის გაფორმება

1. ავტორეფერატი არის დოკუმენტი, რომელშიც მოკლედ არის ასახული სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები.

2. ავტორეფერატის აუცილებელი კომპონენტებია:

ა) სატიტულო ფურცელი;

ბ) შესავალი, რომელშიც მოცემული იქნება კვლევის საგანი, საკვლევი პრობლემა, საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზანი, საკვლევი შეკითხვები, ჰიპოთეზა/ჰიპოთეზები (არსებობის შემთხვევაში), გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები, ნაშრომის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება, ნაშრომის სტრუქტურის აღწერა;

გ) სადისერტაციო ნაშრომის მოკლე შინაარსი თავების მითითებით;

დ) დასკვნები;

ე) გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

3. სატიტულო ფურცელი წარმოადგენს ავტორეფერატის პირველ გვერდს და იგი უნდა მომზადდეს ამ დებულების დანართი №6-ის შესაბამისად.

4. ავტორეფერატის ტექნიკური გაფორმება:

ა) ავტორეფერატი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. მას უნდა ახლდეს ზუსტი თარგმანი ინგლისურ ენაზე. ავტორეფერატის ტექსტი წარმოდგენილი უნდა იყოს A5 ზომის ფურცელზე. შრიფტი: Sylfaen; შრიფტის ზომა: 12; ავტორეფერატის მოცულობა: არაუმეტეს 40 გვერდი. ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით, ქვედა მარჯვენა კუთხეში. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. გვერდის ნომრების შრიფტის ზომა არის 10. გვერდის ნომერი ფურცლის ქვედა კიდიდან დაშორებული უნდა იყოს 1.3 სმ-ით

ბ) ცხრილები, ნახაზები: ცხრილები, ნახაზები, დიაგრამები, ჰისტოგრამები და ა.შ. კეთდება ავტორეფერატის ძირითად ნაწილში. ცხრილის (ნახაზის) ზემოთ იწერება სათაური, ხოლო სათაურს ზემოთ, უკიდურეს მარჯვენა მხარეს, „ცხრილი/ნახაზი“ და ნომერი. ცხრილებსა და ნახაზებს უკეთდება დამოუკიდებელი ნუმერაცია, სადისერტაციო ნაშრომის თავების მიხედვით. მაგ., მეორე თავის მესამე ცხრილი იქნება „ცხრილი 2.3.“, მესამე თავის პირველი ნახაზი იქნება „ნახაზი 3.1.“;

გ) აუცილებელია გამოყენებული წყაროების მითითება. წყაროების მითითების მიზნით ციტირებისა და რეფერირებისთვის გამოიყენება APA სტილი.

4. გამოყენებული ლიტერატურის სიაში (ბიბლიოგრაფიაში) უნდა აისახოს დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურისა თუ წყაროების ნუსხა. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს ავტორეფერატის ბოლოს. ბიბლიოგრაფია უნდა განთავსდეს ახალ გვერდზე. ლიტერატურის ნუსხის მითითებისას გამოყენებული უნდა იქნეს APA სტილი. გამოყენებული ლიტერატურის სიაში ლინკის მითითებისას სავალდებულო წესით უნდა მიეთითოს ვებ-გვერდის მისამართზე შესვლის დრო (გადამოწმებულია: რიცხვი, თვე, წელი).

ქუთაისის უნივერსიტეტი

_____ ფაკულტეტი

სტუდენტის სახელი და გვარი

სადისერტაციო ნაშრომის დასახელება

_____ აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის

ავტორ ე ფ ე რ ა ტ ი

ქუთაისი, 20__

სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____
(ხელმოწერა)

გარე რეცენზენტი: _____

(ხელმოწერა)

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედეგა

(თარიღი და დრო)

დაცვის კომისიის სხდომაზე. მისამართი: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. №13, საკონფერენციო დარბაზი (I სართული). სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია ქუთაისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მისამართზე: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. №13.

ავტორეფერატი დაიგზავნა „____“ _____

(თარიღი)

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე: _____

(ხელმოწერა)

ინფორმირებული თანხმობა

თარიღი: _____

კვლევის მოკლე აღწერა

საკვლევი პრობლემა:

კვლევის მიზანი:

კვლევის ფარგლებში რესპონდენტისგან მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნება მხოლოდ წარმოდგენილი კვლევის მიზნებისთვის, არ გადაეცემა სხვა მხარეს და დაცული იქნება ანონიმურობისა და კონფიდენციალობის პრინციპი.

მკვლევარის ხელმოწერა:

რესპონდენტი თანახმაა კვლევის ფარგლებში გაცემული ინფორმაცია გამოყენებულ იქნას წარმოდგენილი კვლევის მიზნებისთვის.

რესპონდენტის ხელმოწერა:

სადისერტაციო ნაშრომი დაცვის კომისიის წევრების მიერ ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

| № | შეფასების კომპონენტი | შეფასების კრიტერიუმი | მაქსიმალური შეფასება |
|---|---|--|----------------------|
| 1 | ნაშრომის სტრუქტურული გამართულობა | <ul style="list-style-type: none"> ნაშრომის სტრუქტურის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა ნაშრომის კომპონენტების (შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა ძირითადი ნაწილი, დასკვნა) შინაარსობრივ მოთხოვნებთან შესაბამისობა | 10 ქულა |
| 2 | ნაშრომის აქტუალურობა და მნიშვნელობა | <ul style="list-style-type: none"> საკვლევი საკითხის სიახლე და აქტუალურობა ნაშრომის სამეცნიერო ღირებულება ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება | 10 ქულა |
| 3 | საკვლევი საკითხის დასმა და წარმოჩენა | <ul style="list-style-type: none"> კვლევის მიზნების და ამოცანების ფორმულირება და წარმოჩენა საკვლევი საკითხის დასმა და პრობლემის ირგვლივ მსჯელობა საკვლევი შეკითხვების და/ან კვლევის ჰიპოთეზის ფორმულირება | 10 ქულა |
| 4 | დასახული მიზნებისა და კვლევის შედეგების ურთიერთშესაბამისობა | <ul style="list-style-type: none"> კვლევის მიზნების კვლევის შედეგებთან შესაბამისობა | 10 ქულა |
| 5 | კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები | <ul style="list-style-type: none"> გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიის და მეთოდების რელევანტურობა | 10 ქულა |
| 6 | შედეგების /მიგნებების ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები | <ul style="list-style-type: none"> ანალიზის სიღრმე საკვლევი პრობლემის გადაწყვეტის ირგვლივ მსჯელობა და არგუმენტირებული დასკვნები დასკვნებისა და რეკომენდაციების რელევანტურობა | 20 ქულა |
| 7 | ნაშრომის ტექნიკური მხარე | <ul style="list-style-type: none"> ნაშრომის ტექნიკური და გრამატიკული გამართულობა ციტირება-რეფერირების ტექნიკის დაცვა (APA სტილი) | 5 ქულა |
| 8 | გამოყენებული წყაროები/ლიტერატურა | <ul style="list-style-type: none"> საკვლევი თემის ფარგლებში შერჩეულია მრავალფეროვანი და ვალიდური ლიტერატურა | 10 ქულა |
| 9 | ნაშრომის საჯარო დაცვა | <ul style="list-style-type: none"> პრეზენტაციის ლოგიკურად ორგანიზება და ნაშრომის ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტის/საკითხის წარმოჩენა მსჯელობის დამაჯერებლობა | 15 ქულა |

| | | | |
|------------------------------|--|--|----------|
| | | <ul style="list-style-type: none"> • საკუთარი პროზიციის დაცვა, დასმულ შეკითხვებზე ამომწურავი და სათანადო პასუხების გაცემა • პრეზენტაციის ტექნიკა, კონტაქტი აუდიტორიასთან • პრეზენტაციის დროის მართვა. | |
| საბოლოო მაქსიმალური შეფასება | | | 100 ქულა |